# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04/27

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

**2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სტუ-ის დოქტორანტურაში მიღების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (დანართი 1);
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**